

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
სს „RMG Copper“-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის
სკოპინგის ანგარიშის თაობაზე



მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

12 იანვარი, 2022

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2021 წლის 15 დეკემბერს [გამოქვეყნებულ](#) სს „RMG Copper“-ის მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიშზე.

დაგეგმილი საქმიანობა

განსახილველად წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის (თავი 2.3.) თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არის: ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს 11,27 ჰა ფართობზე, ღია კარიერული წესით, ბურღვა-აფეთქების მეთოდით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება.

როგორც ანგარიშის შესავალშია აღნიშნული, საქმიანობის განხორციელების საფუძველია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფზე“ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის N13/441 ბრძანების შესაბამისად გაცემული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია. ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის შესწავლის შედეგად მოხდა მარაგების დაზუსტება და სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 31 მაისის N666/ს ბრძანების საფუძველზე გაიცა ახალი N10002084 ლიცენზია.

საგულისხმოა, რომ ანგარიშს ახლავს მხოლოდ ახალი ლიცენზიის ასლი, მაგრამ არ ახლავს ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ბრძანება. შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოებისათვის უცნობია ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფართობი და დადგენილი სალიცენზიო პირობები - ანუ, დაგეგმილი საქმიანობის განმსაზღვრელი მთავარი მახასიათებლები.

ამასთანავე, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „2021 წლის 27 სექტემბერს, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფსა“ და სს „RMG Copper“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (იხ. დანართი 2), რომლის მიხედვით, სს „RMG Copper“-ი დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში იღებს მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს. აღნიშნული **საბადოს მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობია 902,9599 ჰა, ხოლო სამთო მინაკუთვნი - 175,8559 ჰა**. ... სს „RMG Copper“-ს დაგეგმილი აქვს, შპს „კავკასიის სამთო ჯგუფსა“ და სს „RMG Copper“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, ღია კარიერული წესით, ბურღვა-აფეთქების მეთოდით დაამუშაოს მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ნაწილი, კერძოდ **11,27 ჰა** ფართობის ტერიტორია“.

ასევე, სკოპინგის ანგარიშზე თანდართული საბადოს დამუშავების პროექტის თანახმად „წინამდებარე პროექტით გათვალისწინებულია დამტკიცებული მარაგების დამუშავება. აღნიშნული მარაგების ამოწურვამდე, წლიური

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
+(995 32) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

მწარმოებლურობის გათვალისწინებით მუშევანი 2-ის კარიერის არსებობის ვადა განისაზღვრა 6 წლით (იხ. ცხრილი 3.13.1). ამ პერიოდში საექსპლუატაციო ძიების საფუძველზე მოხდება არსებული რესურსების გარკვეული რაოდენობის მარაგებში გადაყვანა და მისი მარაგების სახელმწიფო კომისიისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. ახლად დამტკიცებული მარაგების საფუძველზე კი წინამდებარე პროექტი განახლდება“. ანუ, მოპოვებითი სამუშაოების პარალელურად იგეგმება დაგეგმილი საქმიანობის გაფართოვება.

ხაზგასასმელია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საგანია ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა და არა მისი ნაწილი. შესაბამისად, სკოპინგის პროცედურა უნდა გაიაროს საბადოს მთლიან ტერიტორიაზე დაგეგმილმა საქმიანობამ. და ის გარემოება, სს „RMG Copper“-მა გადაწყვეტა ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის ნაწილის ათვისება, ვერ გახდება საქმიანობის დანაწევრების საფუძველი.

ნარჩენების მართვის გეგმა

სკოპინგის ანგარიშში, ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების ქვეთავში (5.8) ნათქვამია, რომ „სს „RMG Copper“-ს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს კომპანიის მიმდინარე საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხებს“. კომპანიის მტკიცებით, „მუშევანი-2 კარიერზე მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელი არ არის ნარჩენების სახეობის და რაოდენობის არსებითი ცვლილება, რადგან ნარჩენების სახეობები (ნარჩენების კოდები) იგივეა, რაც არსებული გეგმითაა გათვალისწინებული, ხოლო მათი რაოდენობა არ გაზრდის ყოველწლიურად წარმოქმნილ მოცულობებს. ამდენად, წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება არსებული (მოქმედი) გეგმის შესაბამისად“.

იმ შემთხვევაში, თუ ახალ საბადოზე მადნეულის მოპოვებით კომპანიას წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა და მანასიათებლები მართლაც არ გაეზრდება, ახალი საბადოსთვის ცალკე ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების საჭიროება მართლაც არ იარსებებს. თუმცა, საეჭვოა, როგორ არ გაიზრდება შპს “RMG Copper“-ის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა, როდესაც კომპანია გეგმავს ახალ საბადოზე 11,27 ჰექტარი ტერიტორიის ათვისებას და ღია კარიერული წესით, ბურღვა-აფეთქების მეთოდით 3 085 334 ტონა მადნეულის მოპოვებას, რის შედეგადაც წარმოქმნება 12 383 541 ტონა ფუჭი ქანი.

იმის დასამტკიცებლად, რომ მუშევანი-2-ის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტისთვის ნარჩენების მართვის გეგმის საჭიროება არ არსებობს, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ახსნა, თუ რატომ და რის შედეგად არ გაიზრდება წარმოქმნილი ნარჩენების მოცულობა.

მოსახლეობასთან სიახლოვე

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, კარიერიდან უახლოეს საცხოვრებელ პუნქტამდე (სოფ. მუშევანი) მანძილი დაახლოებით 800 მეტრია და არც მადნეულის სატრანსპორტო გზა გადის საცხოვრებელი სახლებისა და განამენიანების ტერიტორიაზე, ყველაზე ახლო მონაკვეთებში საპროექტო გზა დასახლებული პუნქტებიდან დაცილებულია 800 მეტრამდე მანძილით. ამის გათვალისწინებით, კომპანია ადგილობრივ მოსახლეობაზე კარიერის ექსპლუატაციითა და მოპოვებული წიაღისეულის ტრანსპორტირებით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას გამორიცხავს და გეგმავს, რომ როგორც მოპოვებითი სამუშაოები, ისე მადნეულის ტრანსპორტირება მთელი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად, 24 საათიან რეჟიმში განახორციელოს.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ყურადსაღებია რამდენიმე ფაქტი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის, რომ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი სატელიტური ფოტოსურათი, რომელიც დაადასტურებს, რომ საპროექტო ტერიტორია სოფელი მუშევანის უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან მართლაც 800 მეტრითაა დაშორებული. მეტიც, კარიერისა და უახლოესი სოფლის ურთიერთმდებარეობის სატელიტური ფოტო ანგარიშში საერთოდ არ გვხვდება.

ამასთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასზე ჩატარებული მიახლოებითი გაზომვით, კარიერის საპროექტო ტერიტორია 450 მეტრითაა (შესაძლოა უფრო მცირე მანძილითაც) დამორებული სოფელ მუშევანის უახლოესი დასახლებული პუნქტიდან (იხ. სურათი 1 და 2).



სურათი 1. მუშევანი 2-ის ოპრო-სილენის საბადოს მიწისა და საბადო მიწაუთვის კონტური



სურათი 2. დამორებული საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის

წყარო: სს „RMG Copper“ მუშევანი 2-ის ოპრო-სილენის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება სკოპინგის ანგარიში

წყარო: საქართველოს ტყისა და მიწათსარგებლობის ატლასი

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მოპოვებითი სამუშაოების 24 საათიან რეჟიმში განხორციელების საკითხიც. 400 ან თუნდაც 800 მეტრიანი დამორება არც ისეთი დიდი მანძილია იმისათვის, რომ მივიჩნიოთ, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში წიაღისეულის უწყვეტი მოპოვება და გადაზიდვა ხმაურის კუთხით უარყოფით გავლენას არ იქონიებს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრებაზე. განსაკუთრებით პრობლემური სამუშაოების ღამის საათებში განხორციელებაა, რადგანაც ღამით იზრდება, როგორც ხმაურის დონის აღქმა, ისე მის მიმართ მგრძნობელობა.

შესაბამისად, აუცილებელია, რომ კომპანიის მხრიდან მოხდეს მოპოვებითი სამუშაოების 24 საათიან, უწყვეტ რეჟიმში განხორციელების საკითხის გადახედვა და ადგილობრივ მოსახლეობაზე ხმაურით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე

სკოპინგის ანგარიშის ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ქვეთავში (5.2) ნათქვამია, რომ „მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარების (საბურღი დანადგარი) მუშაობასთან, აფეთქებით სამუშაოების წარმოებასთან, მოპოვებული მადნის დატვირთვის, ტრანსპორტირების და ფუჭი ქანების დასაწყობების პროცესში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან“.

ამის მიუხედავად, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების განხილვისას, საუბარია მხოლოდ სხვადასხვა სახის ტექნიკის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილ ხმაურზე და განსაზღვრულია მხოლოდ მოპოვების პროცესში გამოყენებული მანქანა-დანადგარების შესაბამისი ექვივალენტური ხმაურის დონე. რაც შეეხება ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების შედეგად წარმოქმნილ ხმაურსა და ვიბრაციას, არც მისი დონე და არც წარმოქმნის სიხშირე განსაზღვრული არ არის.

ამგვარად, აუცილებელია, რომ მანქანა-დანადგარების მუშაობით გამოწვეულ ხმაურთან ერთად, მოხდეს აფეთქებითი სამუშაოებით წარმოქმნილი ხმაურისა და ვიბრაციის დონის შეფასებაც. ამასთან, საჭიროა, წინასწარ, დეტალურად გაიწეროს თუ რა სიხშირით და დღის რომელ მონაკვეთებში განხორციელდება აფეთქებები. გარდა ამისა, აუცილებელია, მკაცრად შეიზღუდოს აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება ღამისა და დღის საათებში.

კუმულაციური ზემოქმედება

აღსანიშნავია, რომ სკოპინგის ანგარიშში, კუმულაციურ ზემოქმედებაზე საუბრისას (5.14 ქვეთავი) მხედველობაში მიღებულია მხოლოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში დაგეგმილი იმავე ტიპის, ანუ მადნეულის მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება. შედეგად, გამომდინარე იქიდან, რომ უახლოესი კარიერი, სადაც მიმდინარეობს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები, დაცილებულია 2.5 კმ-ით, მიჩნეულია, რომ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი ექნება მხოლოდ და მხოლოდ სატრანსპორტო ნაკადებთან მიმართებით.

კუმულაციური ზემოქმედების მსგავსი კრიტერიუმებით შეფასება გაუმართლებელია. ჯერ ერთი, გაურკვეველია, თუ რაზე დაყრდნობითაა კუმულაციური ზემოქმედების არეალი შემოფარგლული 500 მეტრიანი რადიუსით და რატომ არ შეიძლება კუმულაციური ზემოქმედება წარმოიშვას ერთმანეთთან უფრო შორი, პირობითად 2.5 კმ-იანი დაშორების მქონე ობიექტების ფუნქციონირებით. ამასთან, არასწორია კუმულაციურ ზემოქმედებაზე საუბრისას გავითვალისწინოთ მხოლოდ მსგავსი ტიპის საქმიანობებით გამოწვეული ზემოქმედება, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფერადი ლითონების კარიერების გარდა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში მადნეულის გადამამუშავებელი არაერთი საწარმო ფუნქციონირებს.

ამგვარად, აუცილებელია, რომ კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას, როგორც 500 მეტრზე დიდი რადიუსის ფარგლებში მიმდინარე მოპოვებითი, ისე გადამამუშავებელი საქმიანობებიც.

მიწის საკუთრება და გამოყენება

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო კარიერისა და ფუჭი ქანების სანაყაროს მიმდებარედ მდებარეობს მდელი, რომელიც წარმოადგენს ტრადიციულ სარგებლობაში არსებულ მიწას და რომლის გამოყენებაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხდება საძოვრად. აღსანიშნავია, რომ კომპანიას აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს ფუჭი ქანების სანაყაროსა და დაბინძურებული წყლების შემკრები გუბურების მოწყობა. შედეგად, საძოვრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიფარება სანაყაროთი, ხოლო დარჩენილი ნაწილი შექმნილი ფიზიკური ბარიერების გამო, საქონლისთვის მიუწვდომელი გახდება. ამასთან, კარიერზე მოსამზადებელი თუ მოპოვებითი სამუშაოების დაწყებისთანავე შეიზღუდება მოსახლეობის საძოვარზე წვდომაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას დაგეგმილი აქვს მოსახლეობასთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოება, მათთვის ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების შეთანხმება. თუმცა, აღნიშნული პროცესების წარმოება დაგეგმილია მოსამზადებელი სამუშაოების მეორე ეტაპზე, სამუშაოების დაწყებიდან წელიწადნახევრის შემდეგ.

სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან კომუნიკაცია მათთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორც ტრადიციულ საკუთრებაში არსებული საძოვრებისა და მათზე წვდომის კარგვაა, აუცილებელია მოხდეს საქმიანობის დაგეგმვის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე. ამგვარად, აუცილებელია, კომპანიამ მოსახლეობასთან შეხვედრები ჩაატაროს გზმ-ის ეტაპზე და საქმიანობის დაწყებამდე

უზრუნველყოს შესაბამისი საკომპენსაციო თუ შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა ან/და განხორციელება.

გარდა ამისა, საქართველოს მიწათსარგებლობის ატლასის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, დაახლოებით 200 მეტრში მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწები. თუმცა, ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა სახის უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს წიაღის ღია კარიერულმა მოპოვებამ აღნიშნულ სავარგულებზე ნიადაგის დაბინძურების კუთხით და არსებობის შემთხვევაში რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ ზემოქმედების შესამცირებლად/შესარბილებლად.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი

სოციალურ ზემოქმედებაზე საუბრისას ანგარიშში არაერთხელაა ნახსენები, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს რეგიონს სოციალური პირობების გაუმჯობესების კუთხით. ამ მხრივ ხაზგასმულია ის, რომ „საქმიანობის განხორციელების პროცესში სხვადასხვა გადასახადების სახით, დამატებითი თანხები შევა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტში. ადგილობრივ ბიუჯეტში შესული თანხები მოხმარდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებას. ეს ფაქტორი კი დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე და ცხოვრების პირობებზე“.

თუმცა, ის ფინანსური სარგებელი, რომელსაც პროექტი რეგიონს და ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანს, კომპანიის მხრიდან ძალიან ზოგადად და ზედაპირულადაა შეფასებული. აუცილებელია, რომ კონკრეტულ რიცხვებში იყოს წარმოდგენილი რა ოდენობის ფინანსურ სარგებელს მოუტანს პროექტის განხორციელება სახელმწიფოს და ეს სარგებელი შედარდეს პროექტის განხორციელებისთვის გაღებულ დანაკარგს და გარემოსთვის პოტენციურად მისაყენებელ ზიანს. მხოლოდ კონკრეტულ რიცხვებზე დაფუძნებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება პროექტის სარგებლიანობაზე საუბარი.

ზემოქმედება ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე

ანგარიშში ნათქვამია, რომ საპროექტო ტერიტორიის რაიონი მაღალი ეკოლოგიური მნიშვნელობით გამოირჩევა. მუშევანი-2-ის საპროექტო კარიერის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია ქართული მუხის ტყეებით და ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, „საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და მახასიათებლების დეტალური კვლევა და მოსაჭრელი ხეების სახეობების, რაოდენობის და მოცულობების მითითებით და მომზადდა ტყეკაფის აღრიცხვის უწყისები“.

ჩატარებული ტაქსაციის მიუხედავად, არ არის წარმოდგენილი რა რაოდენობის ხე-ტყის მოჭრა იგეგმება პროექტის მოსამზადებელ თუ ექსპლუატაციის ეტაპზე და რა რაოდენობის დანაკარგზეა საუბარი. აუცილებელია, რომ აღნიშნული მონაცემები დეტალურად იყოს წარმოდგენილი ანგარიშში.

რაც შეეხება ფაუნას, ანგარიშის მიხედვით, არ არსებობს სანდო ფაუნისტური მასალა მოცემული არეალის შესახებ და ფაუნაზე ზემოქმედების კუთხით მსჯელობა მხოლოდ თრიალეთის ქედის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემების ექსტრაპოლირებით არის შესაძლებელი.

ამის მიუხედავად, ანგარიშში ვერსად ვხვდებით სავარაუდო მონაცემებს იმის შესახებ, თუ ფაუნის რომელი სახეობის წარმომადგენლები შესაძლოა ბინადრობდნენ საპროექტო ტერიტორიაზე, როგორია მათი დაცვის სტატუსი და ა.შ. ამ საკითხთან მიმართებით არც მომავალში ჩასატარებელი კვლევების ქვეთავშია წარმოდგენილი რაიმე სახის ინფორმაცია.

აუცილებელია, რომ სკოპინგის ანგარიშში მოცემული იყო რა სახის კვლევები იქნება განხორციელებული გზმ-ის ეტაპზე ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების შესასწავლად, როგორი იქნება მათი ხანგრძლივობა, რა პერიოდებს მოიცავს და ა.შ.

ნიადაგის რეკულტივაცია

სკოპინგის ანგარიშს თანდართულ ნიადაგის რეკულტივაციის პროექტში ნათქვამია, რომ ნიადაგის რეკულტივაცია (ტექნიკური რეკულტივაციის პირველი ფაზა) დაიწყება 2031 წლის ზაფხულის პერიოდში და დასრულდება (ბიოლოგიური რეკულტივაციის ფაზით) 2035 წელს.

აღსანიშნავია, რომ საბადოზე მოპოვებითი სამუშაოების დაწყება 2023 წელსაა დაგეგმილი და გაგრძელდება ექვსი წლის განმავლობაში, სავარაუდოდ 2028-2029 წლამდე. ამგვარად, გაურკვეველია, თუ რატომ არ უნდა იქნას სარეკულტივაციო სამუშაოები დაწყებული მოპოვებითი სამუშაოების დასრულებისთანავე.

საჯარო განხილვა

2021 წლის 28 დეკემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) - უქმე დღეების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, საჯარო განხილვისა და შენიშვნების წარმოდგენის ვადების ცვლილების შესახებ. გარდა იმისა, რომ განცხადება საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ არსებულ ყველა სტანდარტს არღვევს (განცხადებაში თავმოყრილია 14 მიმდინარე პროცესში ცვლილების შესახებ ინფორმაცია), მოცემულ საქმიანობასთან მიმართებით დარღვეულია საჯარო განხილვის დანიშვნის შესახებ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი ვადაც. კერძოდ, განცხადების თანახმად, გაუქმდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის მიერ სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადო) მოპოვების პროექტის სკოპინგის ანგარიშის მანამდე 2021 წლის 4 იანვარს ჩანიშნული განხილვა დაინიშნა 2022 წლის 12 იანვარს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, საჯარო განხილვის შესახებ განცხადება დაინტერესებული საზოგადოებისათვის განხილვამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე უნდა იყოს ხელმისაწვდომი - რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ასევე, არანაკლები დარღვევებით წარიმართა თავად 2022 წლის 12 იანვარს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მუშევანის სარიტუალო დარბაზში ჩატარებული საჯარო განხილვა. აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვა ჩატარდა ქვეყანაში Covid 19-ის პანდემიით გამოწვეული მძიმე სიტუაციის გათვალისწინების გარეშე და სახელმწიფოს მიერ ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემოღებული რეგულაციების დაუცველად.

საჯარო განხილვაზე დასასწრებად სარიტუალო დარბაზთან შეკრებილი იყო 80-დან 100 ადამიანამდე. განხილვაში მონაწილეობის მსურველთა აბსოლუტური უმრავლესობა არ ატარებდა პირბადეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლთან საუბრისას გაირკვა, რომ დამსწრე პირებისათვის არ იყო უზრუნველყოფილი პირბადეები და სამინისტრო გეგმავდა საჯარო განხილვაზე მონაწილეთა უპირბადოდ შეშვებას. ასეც მოხდებოდა, პროექტის განმახორციელებელ კომპანიას უკანასკნელ წუთებში რომ არ მოეთანა პირბადეები მონაწილეთათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დამსწრეთა დიდი ნაწილი პირბადეს მაინც წესის დაცვის გარეშე ატარებდა და ის მხოლოდ ფორმალურად ეკეთა.

სარიტუალო დარბაზის შესასვლელში იდგა კომპანიის მიერ მოტანილი ელექტრო სიციხის საზომი აპარატი, რომელიც არ იყო მუშა მდგომარეობაში და არ აფიქსირებდა რეალურ ტემპერატურას. ამასთან, აღნიშნულ აპარატზე ტემპერატურა მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა დააფიქსირა და ამ საკითხს არავინ აკონტროლებდა.

გარდა ამისა, დარბაზში მონაწილეებს შორის არ იყო დაცული არანაირი სოციალური დისტანცია, რაც ვირუსის გავრცელების საფრთხეს კიდევ უფრო ზრდიდა. შეხვედრა არ იყო უზრუნველყოფილი

მიკროფონით, რის გამოც აზრის დასაფიქსირებლად ადამიანებთან ახლოს მისვლა და ისე საუბარი იყო აუცილებელი.

რეგულაციების ასეთი მკვეთრი დარღვევების გათვალისწინებით, “მწვანე ალტერნატივას” წარმომადგენლებმა განხილვის ორგანიზატორებს განუცხადეს, რომ ასეთ პირობებში შეხვედრას ვერ დაესწრებოდნენ და იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ის. შედეგად, დამსწრეთათვის სამინისტროს წარმომადგენლის თხოვნით, განხილვამ უკვე სარიტუალო დარბაზის გარეთ გადაინაცვლა, თუმცა პროცედურა მაინც ვირუსის გავრცელების მაღალი საფრთხის პირობებში გაგრძელდა.

გამომდინარე იქიდან, რომ შეხვედრაზე არ იყო მიკროფონი, განხილვის მონაწილეები ერთმანეთის მოსასმენად და აზრის გამოსახატავად იძულებულნი იყვნენ ერთ ჯგუფად, ერთმანეთთან ძალიან ახლოს დამდგარიყვნენ და არ დაეცვათ დისტანცია.

ზემოაღნიშნული პროცედურული დარღვევების გათვალისწინებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის განხილვაზე დამსწრე მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, აუცილებელია, რომ საჯარო განხილვების პანდემიის პერიოდში ჩატარებისას, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ღონისძიებების გატარება და დაცული იყოს ყველა სავალდებულო რეგულაცია.